ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3183464

ნომერი: AR1490099

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 04.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ მღებრიშვილი პ/ნ 01008041540
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი III, კვარტალი II, კორპუსი 6, ბინა 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: - მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში დააკონკრეტეთ ინფორმაცია გსურთ მხოლოდ დაზიანებული (ამორტიზირებული)ფილების დემონტაჟი და ამოცვენილი ადგილების ახალი ფილებით ჩანაცვლება ,თუ გსურთ მხოლოდ მათი დემონტაჟი. გაითვალისწინეთ სამსახური დაეთანხმება თქვენს მოთხოვნას მხოლოდ აღდგენის, ან გამაგრების პერსპექტივის პირობით ან ასევე შესაძლებელია, თქვენს მიერ შემოთავაზებული იქნას სხვა ალტერნატიული ვარიანტი ფასადის მოსაპირკეთებლად. - გაითვალისწინეთ, რომ ყველა შემთხვევაში ნებართვა გაიცემა მხოლოდ სადემონტაჟო ფილების აღდგენის აუცილებლობის პირობის გათვალისწინებით და სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა წინასწარ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მიერ შემუშავდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად, ხოლო –სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილი უნდა იქნას არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობა;

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც რომ შენობა წარმოადგენს თანასაკუთრებას და წარმოსადგენი გექნებათ სრული ამონაწერი და ყველა მესაკუთრის თანხმობა ფასადის რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ასევე, არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს ობიექტის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა პირმა და წარმოადგინოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენ

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი . თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.